



2018 წელს ჩატარებული  
არქეოლოგიური გათხრების  
მოკლე ანგარიშების კრებული



2018 წელს ჩატარებული  
არქეოლოგიური გათხრების  
მოკლე ანგარიშების კრებული



საქართველოს კულტურული  
მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნული სააგენტო

*მთავარი რედაქტორი:*

ნიკოლოზ ანთიძე

*კრებული შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს:*

მაია ჩოლოყაშვილი, თამარ ნინიაშვილი

*პასუხისმგებელი რედაქტორები:*

დავით ლომიტაშვილი

კონსტანტინე ფიცხელაური

*სარედაქციო კოლეგია:*

ზურაბ გიორგაძე

თამარ ნინიაშვილი

თორნიკე გურგენიძე

*სტილისტური რედაქტორი:*

მაია ჩოლოყაშვილი

*დიზაინი და დაკაბადონება:*

თამარ გულბანი



დაიხვეჭლა შპს „ფორმა“-ში

[www.forma.ge](http://www.forma.ge)

ISBN 978-9941-8-1198-2

## დოლოჭოპის ბაზილიკაზე 2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრის მოხელა ანბახიში

ნოდარ ბახტაძე [nodarbakh@yahoo.com](mailto:nodarbakh@yahoo.com)


ვაჟა მამიაშვილი [vazhamamiashvili@yahoo.com](mailto:vazhamamiashvili@yahoo.com)

ბაჩანა გაბეხაძე [bachogabekhadze@yahoo.com](mailto:bachogabekhadze@yahoo.com)

დოლოჭოპის სატაძრო კომპლექსი მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში, ქ. ყვარლის შემოგარენში, მდ. დურუჯის მარჯვენა ნაპირზე. გვიანანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში ეს მიდამოები ქალაქ ნეკრესის უკიდურესი დასავლეთ უბანი იყო (სურ. 1) (GPS კოორდ.: N 41058' 25.4; E 0450 48' 36.53). ძეგლის არქეოლოგიურ კვლევას 2012 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აფინანსებს. სამუშაოებს აწარმოებენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნეკრესის ნაქალაქარის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ნ. ბახტაძე). კომპლექსის მთავარი ნაგებობებია სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ცენტ-



სურ. 1




სურ. 2

რალური დარბაზი 36 მ სიგრძისა და 18 მ სიგანისაა. დარბაზი ჯვრისებრი გეგმის, ხუთი წყვილი სვეტით სამ ნავადაა დაყოფილი. ცენტრალური ნავი აღმოსავლეთით ნალისებრი გეგმის აბსიდით ბოლოვდება, გვერდითი ნავეები კი, სწორკუთხა პასტოფორიუმებით. აფსიდს ირგვლივ მრავალსაფეხურიანი სინთრონონი შემოუყვება. ცენტრალურ დარბაზს, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, იმთავითვე, 3-4 მ სიგანის გალერეები გაუყვებოდა, რომელთა აღმოსავლეთით კიდეებში, აბსიდებით დაბოლოებული ეკვდერები იყო მოწყობილი. ბაზილიკას დასავლეთიდან დაახ. 4 მ სიგანის ნართექსიც ჰქონია მიშენებული. თავდაპირველად, დიდი ბაზილიკის სრული სიგრძე-სიგანე ყოფილა 44 მ X 28 მ (სურ. 2).

ტაძრის დანგრევის დროს იატაკზე მიმოფანტული სამშენებლო კონსტრუქციების დეტალების არქეოლოგიურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ბაზილიკის ნაგებობის კონსტრუქციებზე დაწყობილი კრამიტის საბურველით იყო გადახურული და არა ქვის კამარებით. გადახურვის ამგვარი ხერხი, V-VI სს-თა მიჯნის შემდეგ, ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში აღარ გამოიყენებოდა. აღნიშნული და რიგი სხვა გეგმარებითი თავისებურებების მიხედვით, ეს ტაძარი ორგანულადაა დაკავშირებული რომაულ-ბიზანტიური სამყაროს უადრესი ბაზილიკების სტილისტურ წრესთან. ეს გარემოება, გათხრისას გამოვლენილი არტეფაქტების სტილისტურ ნიშნებთან და მშენებლობის ფენაში მოპოვებულ ორგანულ ნაშთთა რადიოკარბონული ანალიზის შედეგებთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ ტაძარი IV-V საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული.<sup>1</sup>

დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის იატაკის ქვეშა სივრცის კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეს გრანდიოზული ტაძარი კიდევ უფრო ადრეული, 25 მ-მდე სიგრძისა და დაახლ. 15 მ-მდე სიგანის, ე.წ. სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ქრისტიანული ტაძრის ნანგრევებზე ყოფილა აგებული. ამ, პირველი ტაძრის გათხრისას IV საუკუნისთვის დამახასიათებელი ნივთიერი მასალა აღმოჩნდა და, დიდი ალბათობით, ნაგებობა სწორედ ამ ხანაშია აშენებული. მის იატაკზე დადასტურებული ორგანული ნაშთების რადიოკარბონულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ ტაძარი, დანგრეულია არაუგვიანეს IV ს-ის 80-იანი წლებისა.<sup>2</sup>



სურ. 3

2015 და 2017 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევის სეზონებზე დიდი ბაზილიკის იატაკქვეშ გამოვლინდა ტაძრის ფუნქციონირების დროს, განსაკუთრებული პატივით, ატრიბუციითა და ანატომიური პოზიით (მალლა, მაკურთხეველ პოზაში შემართული მარჯვენა მკლავით) დაკრძალული მალალი სასულიერო წოდების პირების, სავარაუდოდ, ეპისკოპოსების ქვა-ყუთის ტიპის სამარხები (№58 და №97), რომლებიც რადიოკარბონილი კვლევის შედეგად V-VI საუკუნეებით დათარიღდა.

ამ ძეგლზე 2018 წელს ჩატარებული მცირე მასშტაბის არქეოლოგიური კვლევების შედეგად გაირკვა, რომ დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების ხანაში, აქ მხოლოდ სასულიერო პირები არ ყოფილან დაკრძალული. საერო პირების, უთუოდ არისტოკრატიის წარ-

მომადგენლების დასამარხად ცალკე სათავსი, სამხრეთის გალერეა ყოფილა

<sup>1</sup> ნ. ბახტაძე, ვ. მამიაშვილი, ბ. გაბეხაძე, ჯ. ჩხვიმიანი. დურუჯისპირა ბაზილიკის არქეოლოგიური კვლევა ნაქალაქარ ნეკრესში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე. B - 7. თბ. 2016.

<sup>2</sup> Bakhtadze, V. Mamiashvili, B. Gabekhadze, J. Chkhvimiani. An Archaeological Study of the Ancient Churches in the Former City of Nekresi. Wojnowice, 2018.

გამოყოფილი. ასეთი ერთ-ერთი სამარხი №106 (სურ. 3, 4:3), ამ გალერეის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, VI საუკუნეში მომხდარი მიწისძვრის დროს იატაკზე გადაწოლილი კედლისა და კრამიტ-ანტიფიქსებით მოფენილი იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ჩაჭრილი. ცენტრალური დარბაზის საეკლესიო იერარქების სამარხთა მსგავსად, ქვა-ყუთი აქაც საკმაოდ გულმოდგინედ არის მოწყობილი კარგად გათლილი, სწორი გეომეტრიული ფორმის ფილებით. სამარხში დაკრძალული ახალგაზრდა ქალი “სანახევროდ ქრისტიანულ” პოზაში იყო ჩასვენებული, ანუ მიცვალებული თითქოსდა ზურგზე გამოტილი ესვენა, მაგრამ ფეხები თითქმის გვერდულად ეწყო, რადგან მარცხენა ფეხის წვივი, მუხლში მოხრილად მარჯვენა ფეხის ქვეშ ჰქონდა გადაჯვარედინებული. მარჯვენა ხელის მოხრილი მკლავი კი ზურგს უკან მოყოლილი (ხერხემლის ქვეშ დაფიქსირებულ თითების ფალანგებზე ვერცხლის ბეჭედი აღმოჩნდა წამოცმული), მარცხენა ხელის მკლავი დასავლეთისკენ იყო შემართული. და, ბოლოს - თავი სახით ჩრდილოეთისკენ ჰქონდა მიტრიალებული, ანუ, პროფილში. ამრიგად, სახეზე გვაქვს დაკრძალვის წესი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე (და არა მარტო საქართველოს), წინარექრისტიანულ ხანაში ხანგრძლივად და თითქმის საყოველთაოდ გავრცელებულ (მიცვალებული გვერდზე, მოკუნტულად, ემბრიონის პოზაში) დამარხვის წესსა და გამოტილ პოზას შორის, რაღაც შუალედურ ფორმას უფრო გვაგონებს. თუ ამ გარემოებას იმასაც დავუმატებთ, რომ სამარხის შიგნით მიცვალებულის დაკრძალვამდე “ავი სულებისგან გასანმენდად” დანთებული ცეცხლისა და ნახშირის ინტენსიური კვალიც დავადასტურეთ, რაც აგრეთვე გვიანანტიკურ ხანასა და, გამონაკლისის სახით, ადრექრისტიანულ პერიოდშიც გავრცელებული “ხალხურად” დაკრძალვის რიტუალის ნაწილია, ამ სამარხის სანახევროდ წარმართულობაშიც შეიძლება შეგვეპაროს ეჭვი. ადრეულ ქრისტიანულ ხანაში (ძირითადად IV-VI საუკუნეებში), ქრისტიანული საზოგადოებების სამაროვნებზე მიცვალებულთა წარმართულ პოზაში დაკრძალვის შემთხვევებიც საქართველოში იშვიათი არ არის, თუმცა, უმრავლესად, ეს პრეცედენტები ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი ან მთისწინა ზოლის დასახლებებში. მგავსად დაკრძალული ნეშტები, არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია ჩრდილოეთ კავკასიის, კერძოდ, ავარეთის დაახ. VIII-X სს-ით დათარიღებულ ქრისტიანული თემების სამაროვნებზეც (ანუ, სავარაუდოდ, ნეკრესის ეპარქიის კავკასიონს გადაღმა მდებარე დიდოეთის და ხუნდახის ტერიტორიებზე!).<sup>3</sup>

ქრისტიანულ საზოგადოებებში მიცვალებულთა ამგვარად დაკრძალვის წესი, მოსახლეობის შეგნებაში წარმართული ტრადიციებისადმი სრული თუ ნაწილობრივი ერთგულების შედეგია და არავინ იცის, რამდენად ღრმად ჰქონდა შესისხლხორცებული მოსახლეობის ასეთ ჯგუფებს ქრისტიანული რწმენა: კვლავ წარმართულ ღვთაებებს ეთაყვანებოდნენ თუ სამღვდელთა ბისგან მალულად რაღაც ხალხურ წეს-ჩვეულებებს უწევდნენ ანგარიშს?


<sup>3</sup> Атаев, Д. Христианские древности Аварии, УЗ ИИЯЛ, Т. IV. Махачкала 1958. გვ. 165, 179.

ნიშანდობლივია, რომ ასეთ პოზებში, უმეტესად ქალები იკრძალებოდნენ (ალბათ, როგორც ქრისტიანულ წმინდა ნიგნების სწავლებებში ნაკლებად გარკვეულნი და, ამდენად, წინაპართა ტრადიციების ოჯახის წიაღში მალულად შემნახავნი).<sup>4</sup> ეს კონკრეტული შემთხვევა კი, ჯერჯერობით სრულად უნიკალურია: ქვეყანაში ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად წარმოშობილ, ალბათ სახელგანთქმულ რელიგიურ ცენტრში, საკათედრო ტაძარში, მაღალი იერარქიის სამღვდელოების (დიდი ალბათობით, ეპისკოპოსების) განსასვენებელი ნაოსის მეზობელ სათავსში, დიდგვაროვანი ქალი სანახევროდ წარმართულადაა დაკრძალული (შემთხვევითობა გამორიცხულია). ასეთ პრეცედენტზე დათანხმება, უთუოდ დიდი კომპრომისი იქნებოდა სამღვდელოების მხრიდან, ამ დიდგვაროვან ოჯახში შემონახული ტრადიციისა თუ მისი წვერი მთიელი, თუნდაც ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ქალბატონის რწმენის მიმართ.

ტაძრის ამ ნაწილში დადასტურებული სტრატიგრაფიის მიხედვით, ეს სამარხი დიდი ბაზილიკის დანგრევის პერიოდზე, ანუ, VI-VII სს-ზე გვიანდელი ვერ იქნება (სურ. 4:1,2). სამარხში ნეშტთან ერთად ჩაყოლებულია ვერცხლის საყურე მოოქრული საკიდით. მას ანალოგი მოეძებნა V-VI სს. ქართულ არქეოლოგიურ მასალებში (სურ. 4:7). აქვე დაფიქსირებულ ვერცხლის მშვილდსაკინძის ტიპის ნაკეთობებს, რიგი მეცნიერები კონკრეტულად VI სს-ს მიაკუთვნებენ (სურ. 4:6).<sup>5</sup> დანარჩენი სამარხეული ინვენტარიც, V-VII სს ინტერვალში ჩანს დამზადებული (სურ. 4: 4,5,8,9,10,11,12). სამარხიდან აღებული

ქვლოვანი ნაშთის რადიოკარბონულმა ანალიზმა სავსებით დაადასტურა ასეთი დათარიღება: ყველაზე დიდი ალბათობით, დაკრძალვა VII სს-ის II ნახევარში შედგა. ამდენად, ამ სამარხის მონყობის ვითარება და ხანა, სრულ შესაბამისობაშია ჩვენ მიერ დოლოჭოპის დიდი ბაზილიკის ფუნქციონირების პერიოდის ხუროთმოძღვრული ანალიზისა და ტექნიკურ-ლაბორატორული დათარიღების მეთოდით მიღებულ ქრონოლოგიურ ჩარჩოებთან.

2018 წლის სეზონზე, დოლოჭოპის ტაძრის ინტერიერის ნანგრევებში გაითხარა განვითარებულ შუა საუკუნეებში მონყობილი, იქვე ახლომდებარე სოფლის სამაროვნის შემადგენელი 6 სამარხი. ბაზილიკის სამხრეთ გალერეაში აღმოჩენილი 5 კოლექტიური და 1 ინდივიდუალური სამარხი (№100-105) ქვა-ყუთის ტიპისაა. მათში ჩასვენებული ინდივიდებიდან, ზოგიერთს



სურ. 4

<sup>4</sup> აფხაზავა ნ. ქვემო ალვეი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი, 1988. გვ. 52, ტაბ. 24, 26, 30.  
<sup>5</sup> აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა I. თბ. 1955. გვ. 135, 138, 153; სურ. 31, 33; აფხაზავა ნ. ქვემო ალვეი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი, 1988. გვ. 58, 59; ტაბ. X, სურ. 33; ტაბ. XV, სურ. 11, 12.

(ქალებს და ბავშვებს) ჩატანებული ჰქონდა სამკაული: მინის, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ვერცხლისა და რკინის ბეჭდები, სხვადასხვა მინერალის (პასტა, გიშერი, სარდიონი, კვარცი) მძივები და გულსაკიდები. ეს ინვენტარი XI-XIII სს-ით დათარიღდა.

გათხრებისას მოპოვებული ნივთიერი მასალა განთავსდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის კახეთის არქეოლოგიურ ფონდში.

## *A Short Report of the Archaeological Research 2018, at Dolochopi Basilica*

Nodar bakhtadze *nodarbakh@yahoo.com*

Vazha Mamiashvili *vazhamamiashvili@yahoo.com*

Bachana Gabekhadze *bachogabekhadze@yahoo.com*

As a result of the excavations conducted in 2012-2017 in the easternmost area of the former city of Nekresi, on the right bank of the Duruju river, in the forested territory known nowadays under the name Dolochopi (now in the Kvareli countryside), we unearthed large basilica of IV-V centuries. The length and width of its central, three-nave hall (36m X 18.5m) considerably exceeds all basilica-type churches known in Georgia until now.

In 2018 it turned out that the southern gallery of Basilica was singled out in order to interior secular people, undoubtedly, aristocrats. One such burial (№ 106), cut in the westernmost part of this gallery. A young woman interred in the tomb was placed in a “half-Christian” posture: the deceased woman lies stretched on her back, but her legs rested almost on one side because her left leg bent at the knee, was put under her right leg crossed. The folded right arm was placed under her back, the left arm was directed to the west. And finally, her head was turned towards the north, i.e., in profile. Thus, we have to deal with the burial custom, which reminds some interim form between the prolonged and almost widespread burial of the dead in bent, fetal, side position throughout the territory of Georgia (and not only) in the pre-Christian era, on the one hand, and stretched posture, on the other hand.

The rest of the burial inventory with more or less accuracy seems to be made and consumed in the interval between the fifth and the first half of the seventh century. Therefore, the circumstances and timing of the burial arrangement are in full compliance with the architectural analysis and chronological framework of the large Dolochopi basilica functioning, obtained by us in accordance with the radiocarbon method.

